საქართველო

1097-01-2-202001141552

საგარეო საქმეთა
სამინისტრო

№ 01/1097
14/01/2020

საქართველოს თავდაცვის მინისტრის პირველ მოადგილეს
ქალბატონ **ლელა ჩიქოვანს**

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის
მინისტრის მოადგილეს ქალბატონ **მზია გიორგობიანს**

საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილეს
ბატონ **გოჩა ლორთქიფანიძეს**

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილეს
ქალბატონ **ნინო ჯავახაძეს**

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების
მინისტრის მოადგილეს ბატონ **გენადი არველაძეს**

საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილეს
ბატონ **ნიკოლოზ გაგუას**

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და
სპორტის მინისტრის მოადგილეს ბატონ **ლევან ხარატიშვილს**

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა,
შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის
მოადგილეს ქალბატონ **თამილა ბარკალაიას**

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის
მინისტრის მოადგილეს ქალბატონ **ხატია წილოსანს**

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში
საქართველოს სახელმწიფო მინისტრის მოადგილეს
ქალბატონ **ლია გიგაურს**

საქართველოს გენერალური პროკურორის მოადგილეს
ბატონ **გიორგი გოგაძეს**

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის
მოადგილეს ბატონ **გიგა ნიკოლეიშვილს**

ძვირფასო კოლეგებო,

როგორც მოგეხსენებათ, საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესში განსაკუთრებული როლი ენიჭება ევროკავშირის დახმარებას, რომელიც სხვადასხვა პროგრამებისა და ინსტრუმენტების საშუალებით ხორციელდება. აღნიშნული დახმარება გათვალისწინებულია ევროკავშირის დახმარების ერთიანი ჩარჩო პროგრამის (SSF) ყოველწლიური სამოქმედო გეგმების ფარგლებში.

ევროკომისიისგან მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ევროკავშირის დახმარების 2020 წლის სამოქმედო გეგმაში, გათვალისწინებული იქნება ევროკავშირის საექსპერტო მხარდაჭერის კომპონენტი *„საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების განხორციელებისა და მიგრაციის მართვის მხარდაჭერა“.* აღნიშნული კომპონენტის ფარგლებში, დაფინანსდება TWINNING-ის და კლასიკური ტექნიკური დახმარების (TA) პროექტები, რომლებიც ხელს შეუწყობს ასოცირების შეთანხმების განხორციელების კუთხით საქართველოს სახელმწიფო უწყებების შესაძლებლობების გაძლიერებას და ევროკავშირის კანონმდებლობასთან აპროქსიმაციის პროცესში ევროპული გამოცდილების გაზიარებას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, თქვენი უწყების და უწყების დაქვემდებარებაში მყოფი შესაბამისი საჯარო სამართლის იურიდიული პირების (სსიპ) საჭიროებებიდან გამომდინარე, გთხოვთ, **2020 წლის 28 თებერვლამდე წარმოადგინოთ საპროექტო წინადადებები განაცხადის თანდართული ფორმის შესაბამისად.** აქვე, გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ შემოსული განაცხადი (საპროექტო იდეა) უნდა აკმაყოფილებდეს ევროკომისიის მიერ დადგენილ შემდეგ მოთხოვნებს:

- **საქართველოს მთავრობის სტრატეგიულ დოკუმენტებთან და პრიორიტეტებთან შესაბამისობა;**
- **ასოცირების შეთანხმებასთან და მასში გათვალისწინებულ ვალდებულებებთან/პრიორიტეტებთან შესაბამისობა (კანონმდებლობის აპროქსიმაცია);**
- **საპროექტო წინადადების მკაფიოდ და არგუმენტირებულად ჩამოყალიბებული მიზნების არსებობა;**
- **ბენეფიციარი უწყების მიერ პროექტის განხორციელების მზაობა და უნარი.**

საპროექტო განაცხადის შემუშავების პროცესში, მნიშვნელოვანია, გამოირიცხოს დუბლირება თქვენს უწყებაში მიმდინარე/დაგეგმილ ევროკავშირის და სხვა დონორების დახმარების პროექტებთან. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ ევროკომისიის მიერ საპროექტო განაცხადის დასაფინანსებლად შერჩევის შემთხვევაში, ხანგრძლივი მოსამზადებელი პროცედურების გამო, უშუალოდ პროექტების განხორციელების დაწყება, სავარაუდოდ 2021 წლის მეორე ნახევრამდე ვერ მოხერხდება. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ საპროექტო წინადადებისთვის საჭიროებების განსაზღვრის პროცესში, ფოკუსირება

მოხდეს არა მოკლევადიან, არამედ საშუალოვადიან პერსპექტივაში არსებულ პრიორიტეტებზე.

აქვე, გაცნობებთ, რომ **2020 წლის 21 იანვარს, 09:30 საათზე სასტუმროში „ჰოლიდეი ინ თბილისი“ გაიმართება საინფორმაციო შეხვედრა,** რომელიც მიზნად ისახავს სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლებისთვის ევროკავშირის დახმარების 2020 წლის სამოქმედო გეგმის პრიორიტეტებისა და საპროექტო განაცხადების მომზადების პროცედურების თაობაზე ინფორმაციის მიწოდებას *(შეხვედრის დღის წესრიგი გამოგეგზავნებათ დამატებით).*

გთხოვთ, 2020 წლის 17 იანვრამდე დაგვიდასტუროთ აღნიშნულ შეხვედრაში თქვენი უწყების და უწყების დაქვემდებარებაში მყოფი სსიპ-ების წარმომადგენლების მონაწილეობა.

აღნიშნულ საკითხებზე დამატებითი ინფორმაციისათვის, შეგიძლიათ მიმართოთ საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროკავშირის დახმარების კოორდინაციისა და სექტორული ინტეგრაციის დეპარტამენტის ევროკავშირის დახმარების კოორდინაციის სამმართველოს III მდივანს, ქ-ნ ლანა ჯალაღონიას (592 323 311; ljalagonia@mfa.gov.ge).

დანართი: 2 გვ.

პატივისცემით,
ვახტანგ მახარობლიშვილი

მინისტრის პირველი მოადგილე